

sible a clear determination of the state objectives that relate to the stable society development and reinforcement of the interests catalogue in that area at the same time [8, 208–210, 219–220].

References:

1. S. T. Kurek, M. Sułek, J. Olszewski, NATO Power in the Economic-Defense Dimension, Warsaw 2009, p. 31.
2. Kuźniar, Politics and Power. Strategic Studies - Outline of Issues, Warsaw 2006, pp. 187-189.
3. J. J. Lantis, D. Howlett, Strategic Culture, J. Baylis, J. Wirtz, C. S. Gray, E. Cohen, Strategy in the Modern World. Introduction to Strategic Studies, Kraków 2009, p. 94; See Glossary of Terms of National Security, Warsaw 2002, p. 62.
4. J. Lantis, D. Howlett, Strategic Culture, Op. cit., pp. 92-94.
5. Ibid., P. 94.
6. A. Dawidczyk, Designing Policy Objectives and State Security Strategies, II, "AON Scientific Letters" 2007, no. 1.
7. A. Dawidczyk, op. cit., p. 130.
8. A. Drzewicki, European Security as a Factor In post-communist transformations in Ukraine and Central and Eastern Europe, 210, 219-220.

მაია თევზაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (თბილისი, საქართველო)

ეთნოცენტრიზმი და ინტერკულტურული კომუნიკაცია

ეკონომიკის, მეცნიერების, განათლების გლობალიზაციის, ევროპასთან სულ უფრო მეტად დაახლოების პროცესის თანამედროვე ეპოქაში, საერთაშორისო კონტაქტები გახდა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ჩვეულებრივი ფაქტი. თუმცა, ამ დროს მიმდინარე კულტურათაშორისი კომუნიკაციის პრობლემაში ადამიანი აწყდება რიგ სირთულეებს, რომელთა შორის ენობრივი განსხვავება სრულიადაც არ არის ერთადერთი. გარე სამყაროს აღქმის განსხვავებები სხვადასხვა კულტურის მატარებელთა შორის ხშირად იწვევს გაუგებრობებსა და კონფლიქტებს. მთავარი დაბრკოლება კი მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ სხვა კულტურებს აღვიქვამთ საკუთარი კულტურის პრიზმაში და ამიტომ ჩვენი დაკვირვებები და დასკვნები შეზღუდულია ამ პრიზმის ფარგლებით.

ჩვენი ქვეყნისათვის მისი განვითარების თანამედროვე ეტაპზე, უაღრესად აქტუალურია ეროვნებათაშორისი ურთიერთობის ოპტიმიზაციის პრობლემა, რასთან დაკავშირებითაც არსებობს კულტურათაშორისი კომუნიკაციის ახალი გზების მოძიების აუცილებლობა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უცხო კულტურებთან კომუნიკაციის დროს ადამიანთა უმრავლესობა მის ღირებულებებზე მსჯელობს, ეყრდნობა რა საკუთარი ეთნოსის კულტურულ ღირებულებებზე აღმოცენებულ ნიშნებსა და კრიტერიუმებს. საკუთარი კულტურების აღმატებულობას ბუნებრივად აღიქვამენ და იგი ატარებს დადებითი შეფასების ნიშანს, „უცხო“ კი ჩანს როგორც უცნაური, არაბუნებრივი. ამ ტიპის შეფასებით მსჯელობას უწოდებენ ეთნოცენტრიზმს. ასეთი აზროვნების მატარებლები ვერც აცნობიერებენ, რომ სხვა ხალხები ავითარებენ თავიანთ კულტურას იმისათვის, რათა უფრო გააზრებული გახადონ საკუთარი ცხოვრება და დაამყარონ წესრიგი თავიანთ საზოგადოებაში. აღმოსავლეთის იერარქიული სისტემა და სამხრეთ აზიის კასტური სისტემა ჩამოყალიბდა შესაბამის კულტურებში 2000-ზე მეტი წლის წინ საზოგადოებრივი

ცხოვრების მოწესრიგების მიზნით და მათ მართლაც წარმატებით შეასრულეს თავისი ისტორიული როლი, მაგრამ რაც შეეხება ევროპელებს, მათ საზოგადოებრივი მოწყობის კასტური და იერარქიული სისტემა მიაჩნიათ მიუღებლად და პირიქით, დასავლური კულტურების ჰორიზონტალური სისტემა აზიელებს მიაჩნიათ არანორმალურად და გაუგებრად. ისინი დღემდე დარწმუნებულები არიან, რომ ადამიანებს შორის აბსოლუტური თანასწორობა არ არსებობს და შესაბამისად, დასავლური კულტურების ამ ეგრეთწოდებულ თანასწორობას საკმაოდ უნდობლად ეკიდებიან.

ამგვარი ეთნოცენტრისტული აღქმისთვის დამახასიათებელია ჩაითვალოს, რომ რაც ხდება საკუთარ კულტურებში, მხოლოდ ის არის ბუნებრივი და სწორი, ხოლო რაც ხდება უცხო კულტურებში, ყველაფერი ის არის არაბუნებრივი და მცდარი; საკუთარი ჯგუფის წეს-ჩვეულებები ჩაითვალოს უნივერსალურად; რაც კარგია ჩვენთვის, ის ასევე კარგია სხვებისთვისაც; საკუთარი ეთნიკური ჯგუფის ნორმები და ღირებულებები განიხილებოდეს როგორც უტყუარად ჭეშმარიტი; აუცილებლობის შემთხვევაში ყოველგვარი საჭირო დახმარება იქნეს აღმოჩენილი საკუთარი ჯგუფის წევრებისადმი; მოქმედება ხდებოდეს საკუთარი ჯგუფის ინტერესებიდან გამომდინარე; სხვა ეთნიკური ჯგუფების მიმართ არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულება; საკუთარი ჯგუფით სიამაყის განცდა.

საკუთარი კულტურის მაღალი შეფასება და უცხო კულტურების დამდაბლება ეფუძნება იმ გარემოებას, რომ თავიანთი ისტორიის ძალიან ადრეულ ეტაპზე ბევრმა ხალხმა თუ ტომმა საკუთარი თავი აღიქვა როგორც „ადამიანები“ ხოლო ყველაფერი, რაც კი არსებობდა თავისი კულტურის ფარგლებს გარეთ, აღიქმებოდა როგორც „არაადამიანური“, „ბარბაროსული“, „ველური“. ასეთი რწმენები გვხვდება მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში, თუნდაც ევროპელი კოლონიზატორებისათვის: ევროპელთა დიდი ნაწილი კოლონიების არაევროპელ მცხოვრებლებს განიხილავდნენ როგორც სოციალურად, ასევე კულტურულად არასრულფასოვნებს, ხოლო თავიანთ საკუთარ ცხოვრების წესს, რა თქმა უნდა, როგორც ერთადერთ მისაღებს და ჭეშმარიტს. თუ ადგილობრივ მცხოვრებლებს ჰქონდათ მათგან განსხვავებული რელიგიური წარმოდგენები, ისინი ხდებოდნენ წარმართები, თუკი მათ ჰქონდათ თავიანთი სექსუალური წარმოდგენები და ტაბუ, მათ მიიჩნევდნენ ამორალურად, თუკი ისინი არ ცდილობდნენ რომ ბეჯითად ემუშავათ, ითვლებოდნენ ზარმაცებად, თუკი ისინი არ იზიარებდნენ კოლონიზატორების აზრებს, მათ უწოდებდნენ გონებაშეზღუდულებს. აცხადებდნენ რა თავიანთ საკუთარ სტანდარტებს აბსოლუტურებად, სასტიკად იკიცხებოდა ყოველგვარი გადახრა წესისგან და ერთი წუთითაც კი არ უშვებდნენ იმ აზრს, რომ ადგილობრივ მოსახლეობას შეიძლება ჰქონოდა საკუთარი სტანდარტები.

უცხო კულტურის მოვლენათა ინტერპრეტაცია ხდება მიჩვეულისა და უჩვეულოს ერთმანეთთან შეჯახების საფუძველზე, რის შედეგადაც იქმნება სიტუაცია, როდესაც რაღაც ახლის, უცნობის აღქმა ხდება მსგავსი ტიპის მიჩვეულ, ცნობილ მოვლენებთან შედარების გზით საკუთარ კულტურაში. უცხო კულტურის ამდაგვარი აღქმა დაფიქსირებულ ფაქტებს ანიჭებს მეორად ხასიათს, ვინაიდან პირველადი აქ არის საკუთარი კულტურის ანალოგიური ფაქტი.

კულტურის ანთროპოლოგთა უმრავლესობა თანხმდება იმ აზრზე, რომ ეთნოცენტრიზმი ამა თუ იმ დონით დამახასიათებელია ნებისმიერი კულტურისათვის, რომ სამყაროს ყურება საკუთარი კულტურის პრიზმაში არის სრულიად ბუნებრივი, და რომ ამ ფაქტს ახლავს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მომენტები. დადებითი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ ეთნოცენტრიზმი საშუალებას იძლევა, ქვეცნობიერად გაიმიჯნოს უცხო კულტურის წარმომადგენლები საკუთარი კულტურის წარმომადგენელთაგან. მისი უარყოფითი მხარე მდგომარეობს მიდრეკილებაში, რომ მოახდინოს ადამიანების იზოლირება, გამიჯნვა ერთმანეთისაგან, ჩამოაყალიბოს დამამცირებელი დამოკიდებულება ერთი კულტურისა მეორის მიმართ (2). მკვლევართა საკმაოდ დიდი ჯგუფი თვლის, რომ ეთნოცენტრიზმი ზოგადად წარმოადგენს ნეგატიურ მოვლენას, რომელიც თავისი მნიშვნელობით უთანაბრდება ნაციონალიზმს და რასიზმსაც კი, მაგრამ ისე როგორც ნებისმიერი სოციალურ - ფსიქოლოგიური მოვლენა, ითვლება რომ იგი არ შეიძლება მხოლოდ უარყოფითად იყოს განხილული. მიუხედავად იმისა, რომ ეთნოცენტრიზმი ხშირად ქმნის დაბრკოლებას კულტურათაშორისი კომუნიკაციისათვის, ამავდროულად იგი ასრულებს ეთნიკური ჯგუფისათვის სასარგებლო ფუნქციას, ხელს უწყობს რა ჯგუფის მიერ მთლიანობისა და სპეციფიკურობის შენარჩუნებისაკენ სწრაფვას (1).

ეთნიკური კონფლიქტის დროს ეთნოცენტრიზმი შეიძლება გამოვლინდეს ძალიან მკვეთრ ფორმებში. ასეთია ეთნოცენტრიზმის შემთხვევები, რომელთაც მებრძოლ ეთნოცენტრიზმს უწოდებენ, ადამიანები არა მარტო აფასებენ უცხოთა ღირებულებებს საკუთარი პრიზმის საშუალებით, არამედ თავსაც ახვევენ თავიანთ ღირებულებებს მათ.

აღნიშნულ საკითხებზე ყურადღების გამახვილება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოცემულ პერიოდში, ეხლა, როდესაც ევროპასთან კიდევ უფრო მეტად დაახლოების პერსპექტივამ, ენების, კულტურების ერთმანეთთან კავშირმა და ურთიერთქმედებამ მიაღწია არნახულ ზომებს და როგორც არასდროს მძაფრად დადგა უცხო კულტურებისადმი ტოლერანტობის აღზრდის პრობლემა, მათ მიმართ ინტერესისა და პატივისცემის გაღვიძების, საკუთარ თავში გაღვიძების გრძნობის გადალახვის აუცილებლობა უცხო, განსხვავებულ კულტურასთან შეხვედრის პირობებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Herve Collet , Communiquer. pourquoi, comment? Le guide de la communication sociale. CRIDEC Editions, Paris, 2004.
2. Maddalena de Carlo , L'interculturel. CLE international, Paris, 1998.
3. Психология и культура. Под редакцией Дэвида Мацумото. Питер, 2003.

Maya Tevzadze
Ethnocentrism and Intercultural Communication
Summary

While communicating with different cultures, most people make assumptions about the values of others based on examples and criterias of their own cultural values. It is common for this kind of ethnocentric perception to consider events and actions appearing in one's own culture to be natural and right, while considering characteristics of other cultures to be unnatural and wrong. It is particularly important to draw our attention towards these tendencies nowadays – the perspective of getting even closer to Europe, increasing connections between languages and cultures have given significance to raising tolerance towards different cultures as never before.

მაია თევზაძე
ეთნოცენტრიზმი და ინტერკულტურული კომუნიკაცია
რეზიუმე

უცხო კულტურებთან კომუნიკაციის დროს ადამიანთა უმრავლესობა მის ღირებულებებზე მსჯელობს, ეყრდნობა რა საკუთარი ეთნოსის კულტურულ ღირებულებებზე აღმოცენებულ ნიმუშებსა და კრიტერიუმებს. ამგვარი ეთნოცენტრისტული აღქმისათვის დამახასიათებელია ჩაითვალოს, რომ რაც ხდება საკუთარ კულტურებში, მხოლოდ ის არის ბუნებრივი და სწორი, ხოლო რაც ხდება უცხო კულტურებში, ყველაფერი ის არის არაბუნებრივი და მცდარი. აღნიშნულ საკითხებზე ყურადღების გამახვილება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოცემულ პერიოდში, როდესაც ევროპასთან კიდევ უფრო მეტად დაახლოების პერსპექტივა გამოჩნდა. ენებისა და კულტურების ერთმანეთთან კავშირმა არნახულ ზომებს მიაღწია და როგორც არასდროს, მძაფრად დადგა უცხო კულტურებისადმი ტოლერანტობის აღზრდის პრობლემა.

Nino Sanaia
Associated Professor of Sokhumi State University (Tbilisi, Georgia)

Study of Modern Languages Related European Antique Culture

Idioms with unclear figurative denotation are usually met in the modern languages, the etymology of which can be realized through the mythology of the language. The analysis of the mythology reference is the solid means of the study of the phraseological etymology.

The goal of the study is to use the mentioned methodology to analyze the phraseological level of non related languages as the legacy of European antique culture. The influence of antique mythology in line with the universal figurative-associative thinking caused isomorphism in the phraseology of modern languages which had been influenced by the antique, especially Greek culture. The study is also interested in terms of the dissemination area of isomorphic figurative phrases.

The subject of the study is to establish possible connections between the symbol related to The Ball of Thread of Ariadne and idioms existing in the modern languages suivre (le fil de ses idées) = follow the thread (of ideas), perdre (le fil de ses idées) = lose the thread (of ideas) - (French), Потерять нить мыслей